გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ხიდთან, ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ ნ ხიდდეელის სავაზეთოს. გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## ქართული თეატრი

დღეს, 22 მარტს,
ქართულის თეატრის არტისტი
ვ. ა. აბაშიძე
გამართავს
**სალიტერატურო საღამოს
ცხოველის სურათებით.**
სურათებს ბ-ნი **ბაშინჯაღიანი**
დასდგამს.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი [ა]ბაშიძე-ცაგარლისა, ანდრონიკოვი[სა], არლანი; ბ-ნი აბაშიძე, მოხევე, [ცა]გარელი, მაქსიმიძე, ნებიერიძე და [სხ]ვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ.

---

შაბათს, 26 მარტს,
[ბ-ნ]ი **აღნიაშვილის ქართული ხორო**
ი. ი. რატიშვილის დოსტაროობით
გაჰმართავს
# კონცერტს

[განყო]ფ. I. ახალი ქართული სიმღერები, რომელთა-შორის იქმნება ქართული ხალხური დუეტი, ტრიო და „შევკრათ წითელ-წითელი".

[გა]ნყოფ. II. ახალი ევროპიული სიმღერები ზოგიერთ გამოჩენილ კომპოზიტორთა.

[გ]ანყოფ. III. ხუდოჟნიკის ა. გ. დი-ბომბიკის მიერ დადგმულ იქნება თ. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდგან" (ცოცხალი სურათები: ა) მეფე ფარნაოზ; ბ) მირიან; გ) ვახტანგ გორგასლანი; დ) დავით აღმაშენებელი; ე) თამარ-დედოფალი, რომელსაც თან ახლავან რუსთაველი, ორბელი, მხარგრძელი და გამრეკელი; ვ) ვახტანგ სჯულთ-მდებელი და სხვ.

[ამ ც]ოცხალ სურათების დროს იქმნე[ბა] [ბ-ნ]ის ხოროს სიმღერები. ამავე დროს [ო]რკესტრი დაუკრავს ბ-ნ ბალანჩივა[ძ]ის მიერ შედგენილ ახალ ქართულ [ი]ოპურის.

ადგილების ფასები, როგორც ქარ[თ]ულ წარმოდგენებზე, ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8½ საათზე

---

ტფილისი, 21 მარტი

მას შემდეგ, რაკი იმპერატორი ვილჰელმი გადაიცვალა და ტახტზედ ავიდა იმისი მემკვიდრე ფრიდრიხი, ევროპიის პოლიტიკა მიჩუმდა და მიჩუმებულმა თვალები მიაშტერა ახალს იმპერატორს—აბა რას იტყვის და რას ინებებსო. საკვირველიც არ არის. გერმანია პირველის ხმის მთქმელია ეხლანდელ ევროპიის კონცერტში და რაკი პირველი ხმა ჰდუმილებს, კონცერტიც გაჩუმებულია. ჯერ თვითონ გერმანელებსაც-კი ვერ გამოურკვევიათ, რას ნიშნავს დღევანდელი დღე და რას მოასწავებს ხვალინდელი.

ყველანი ამაზედ თანხმანი არიან, რომ ეხლანდელი იმპერატორი მშვიდობის მოყვარე კაცია და ევროპიის მშვიდობას ტყუილ-უბრალოდ განსაცდელში არ გააბამს. ხოლო ამას არა ჰკმარობს ერთხელ და ერთხელ გულ-გახეთქილი ევროპა. ევროპას ჯერ კიდევ გული გულის ადგილას არა აქვს, თუმცა იმპერატორ ფრიდრიხის სიბრძნე და მშვიდობის მოყვარეობა სწამს. რადგანაც ესეა, გაზეთები მაინც თავისას არ იშლიან, დღევანდელს დღეს თირკმელებს უსინჯვენ და ჰსურთ გამოიცნონ ამ ბინდ-ბუნდში, ვინ საით მიიწევს. უყველაზედ უწინარეს ყველას თვალი მიქცეულია მასზედ თუ—ეგრედ ცნობილი «სამთა კავშირი» გერმანიისა, ავსტრიისა და იტალიისა დარჩება ხელ-უხლებლად, რაშიმე შეცვლას მოითხოვს, თუ სრულად დაირღვევა და ახალი რამ შესდგება. ამაზედ იხარჯება დღეს ჟურნალ-გაზეთების სიტყვა და საუბარი.

თუ გაზეთების მიერ მოტანილ ამბებს დავუჯერებთ, გამოდის, რომ ეგ „სამთა კავშირი" დღეს დიდს განსაცდელშია, რადგანაც ნიშნებია, რომ ავსტრიას დიდი იმედი აღარ უნდა ჰქონდეს გერმანიის შველისა, თუ ვინიცობაა ბოლგარიაში საქმე წაუხდა და რუსეთმა წინანდებულად ჩასდგა ფეხი. იმის გამო, თუ ვინ უფრო გაიძლიერებს გავლენას ბოლგარიაში—ავსტრია, თუ რუსეთი—იმპერატორი ფრიდრიხიო, ამბობენ გაზეთები, ერთს უბრალო ჯარის-კაცსაც არ გამოიმეტებსო. ეს ადვილად დასაჯერებელია, რადგანაც იმპერატორი ფრიდრიხი მართლა-და მშვიდობის მოყვარეა და ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ არავითარს დიდს ინტერესს გერმანიისას არა ჰსცნობს.

ამას გარდა ამბობენ, რომ იმპერატორი ფრიდრიხი სიმართლის მოყვარე კაცია და ყოველ გვარის ხელ-შეკრულობის პატივის-მცემელიო. აქედამ გამოჰყავთ, რომ იგი უფრო რუსეთს დაუჭერს ბოლგარიაში მხარსა იმ დრომდე, ვიდრე რუსეთი იმაზედ მეტს არ მოითხოვს, რაც ბერლინის ხელ-შეკრულობით დადგენილიაო. აქედამა სჩანს, რომ ავსტრია ცოტა უკან არის დღეს მიყენებული გერმანიისაგან, რადგანაც ვიცით, რომ რუსეთის მაგიერობა ბოლგარიაში თვითონ ავსტრიას ჰსურდა ხელთ ეგდო. თუ მართლა საქმე ასეა დღეს დაყენებული, უეჭველია ავსტრიამ ცოტად თუ ბევრად ხმა უნდა დაიმდაბლოს ბოლგარიის საქმეთა გამო და ბევრს არას იმედოვნებდეს გერმანიისაგან. თუ ამ გზაზედ დამდგარმა ევროპიის პოლიტიკამ ბოლგარიის შესახებ ფერი არ იცვალა სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, ავსტრიას ფიქრი უნდა მიეცეს განმარტოებისა, ცალკედ, მარტოდ დარჩენისა. ამის ნიშნები დღესაც არის. აქამდე ხომ პრინც ფერდინანდის დათხოვნის გამო მარტო საფრანგეთი და გერმანია ემხრობოდა რუსეთს და ინგლისი, იტალია და ავსტრია-კი ეურჩებოდნენ. ეხლა-კი გაზეთები ამბობენ, რომ ინგლისი და იტალია წინ აღარ აღუდგებიან რუსეთსა და ფერდინანდის მთავრობას ბოლგარიაში უკანონოდ აღიარებენო. ავსტრიისათვის ეს მეტისმეტად გულ-სატკენი უნდა იყოს არა მარტო იმით, რომ სურვილი უქმად ჰრჩება გულში, არამედ იმითიც, რომ ეს ამბავი ანიშნებს სხვა უფრო საშიშარს საქმეს, ესე იგი, იმას, რომ შესაძლოა განმარტოვდეს და მტრისა, თუ მოყვრის წინაშე მარტოდ-მარტო დარჩეს. ჩვენის ფიქრით, დღეს ავსტრია ამის საფიქრებელშია.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 21 მარტს, მეორე სამოსამართლო განყოფილებაში გაირჩა საქმე ბ-ნის დ. კეზელისა, რომელსაც ჰბრალდება ბ-ნის დანილოვის შეურაცხყოფა ხელით, ქართულის თეატრის ბუფეტში. ბ-ნს კეზელს ვექილად ჰყავდა ბ-ნი ხაჩატურიანცი, რედაქტორი გაზ. «Тиф. Лист.»-ისა, და ბ-ნს დანილოვს—ნაფიცი ვექილი ბ-ნი ა. პოლტარაცკი. ეს საქმე წარსულს თთვეში უნდა გაერჩიათ და დაესრულებიათ, მაგრამ გადადებულ იქმნა გუშინდელ დღისათვის, რადგანაც ხაჩატურიანცმა სთხოვა ბ-ნს მოსამართლეს შემდეგის კაცების მოწვევა მოწმეებად, სახელდობრ, ბბ. იაკულოვისა, თავ. ი. მაჩაბლისა, თავ. ა. წერეთლისა, ა. ღულაძისა და თავ. დ. ერისთავისა. შემდეგ ამათ რიცხვს ხაჩატურიანცმა მიუმატა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, თანამშრომელი გაზეთ «Новое Обозрѣніе»-სი, და თავ. დ. გურამიშვილი. ამ უკანასკნელის დაბარება ბ-ნმა მოსამართლემ არ შეიწყნარა. მოწმები ყველანი გამოცხადდნენ, და საქმის გარჩევა დაიწყო დილის 11-ს საათზედ. მოწმების გამოკითხვა გაგრძელდა ნაშუადღევის სამს საათამდე და საქმე გადაიდო საღამოს შვიდ საათამდე. მეტად ვრცელი იყო ბ-ნ ნიკოლაძის ჩვენება. ხალხი ბევრი დაესწრო. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგს ნუმერში დავბეჭდავთ.

*** მოახლოვდა დრო თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებისა და შეუდგნენ მუშაობას ის კომისიებიცა, რომელნიც არჩეულ იქმნენ თავად-აზნაურთა კრების მიერ 1879 და 1882 წელს სხვა-და-სხვა საგნების განსახილველად. ეს საგნებია გამიჯვნის საქმის აჩქარება, სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის დაარსება, სასკოლო გარდასახადის დამტკიცება და სხვანი. კვირა არ გადის, რომ რომელიმე კომისია არ შეიკრიბოს და ამ საგნების გამო არა ჰქონდეს ხოლმე მსჯელობა და მოლაპარაკება.

*** ამ დღეებში დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად «ოტელლო» ანუ ვენეციელი მავრი, ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ინგლისურიდამ ივანე მაჩაბლის მიერ. ეს წიგნიც ისევე სუფთად და შნოიანად არის დაბეჭდილი, როგორც «ჰამლეტი» დაიბეჭდა ამას წინად. სულ 137 გვერდია დიდის სიგრცის ქაღალდისა და ჰღირს ათი შაური.

---

# ფელეტონი

## მეშვიდე კრება ორიენტალისტებისა ვენაში 1886 წ.

[ბ]ევრი რამდენი რამა ხდება დედამიწის [ზ]ურგზე კეთილი, კაცის საბედნიერო, [ც]ხოვრების წინ წამყვანი, რომ შორიდამ არ გესმის. რა მიზეზიაო, [ი]კითხავთ.

[ის]ისა, ჩემო ბატონო, რომ მრავა[ლ]ი რამ კეთილი მშვიდის სახით იბა[დ]ება, მშვიდის სახით ირჯება და ია[რ]ება; თან არ აყვირებს ზუკ-ნაღარა[ს] და ზარბაზანს არ აჭექებს. ამ სა[ხ]ისაა ის კეთილიც, რომელსაც სწავ[ლ]ა-მეცნიერებას ეძახიან. მუშაობს [ი]გი კაცთა საბედნიეროდ მყუდროდ [და] მშვიდობიანად და თუ იმისაკენ [ა]რ მიიხედე, ის ბოლოს მაინცა-და[მ]აინც, ადრე იქნება თუ გვიან, თა[ვ]ისკენ მიგახედებს.

სწავლა-მეცნიერებამ მრავალ თა[ვ]ის საცოდნელს და გამოსაძიებელს [ს]აგნებში ერთი საგანიც აირჩია. ეს საგანი ისეთი საგანია, რომ ჩვენს საქართველოს შესასწავლად გამოსაყენებელია.

— ეს რა საგანია ასეთი, რომ არა ისმის რაო? იკითხავთ.

ეს გახლავსთ ევროპის მეცნიერთა მეცადინეობა, რომ კარგად შეისწავლონ ევროპის გარეთა ქვეყნების, აზიისა, აფრიკისა და პოლინეზიის ყოველივე ვითარება: ზოგი რომელსამე ხალხის ენასა სწავლობს, ზოგი მწერლობას, ზოგი ისტორიას ძველისა და ახალის დროისას, ზოგი საკუთრად ყოფა-ცხოვრებას, ჩვეულებას, კანონებს იკვლევს; არიან ისეთნი, რომ მხოლოდ საფლავებსა ხსნიან, ძველ წარწერილ ქვებს კითხულობენ; არიან ისეთნიც, რომ თითო რამ ნაწერს თხზულებას არჩევენ და განმარტებას უწერენ. აი, ვთქვათ ჩვენგან ცნობილი ქილილა და დამნაზე, ლელიმ მიჯნუნზე, ან უსუფ და ზილიხაზე. ამას თავის ადგილას მოვიხსენიებთ. ათას გვარი გამოკვლევაა, რომელზედაც ეს მეცნიერნი ილწვიან, და ქვეყნის საბედნიეროდ ამათი რიცხვი თან-და-თან მრავლდება ისე, რომ ახლა ევროპაში, თითობით-კი არა, ასობით ითვლება აღმოსავლეთის ქვეყნების მკვლევარი. ამათი სწავლა და ცოდნა ისე შორს წავიდა, ცოდნის სურვილმა ისე გამოიღვიძა, რომ აღარა სჯერდებიან წიგნების ბეჭდვას, ჰმართავენ სხვა-და-სხვა დიდს ქალაქებში აღმოსავლეთის ენების შესწავლისათვის სკოლებს, ჰმართავენ ბიბლიოთეკებს და მუზეუმებს, ჰკრებენ აღმოსავლეთის ენაზე დაწერილ წიგნებსა, აგროვებენ ყოველ გვარ ნივთებსა.

ახლა ამასაც არ დასჯერდნენ. არაო, აღმოსავლეთის ქვეყნების უკეთესის ცოდნისათვის უნდა შევიკრიბნეთ ხანდისხან მეცნიერნი ერთადა და ჩვენი ცოდნა ერთმანერთს გავუზიაროთო. ევროპიელებმა თქმა და ასრულება ერთად იციან; სთქვეს და აასრულეს კიდეც. ამ განზრახვით ახლა ევროპის დიდ ქალაქებში რამდენსამე წელიწადში ერთხელ იკრიბება რაც დედამიწის ზურგზე ორიენტალისტია, ესე იგი რაც მეცნიერი და მცოდნე კაცია აღმოსავლეთის ქვეყნებისა. ევროპიელი მეცნიერები ხომ არიან და არიან, იმათ გარდა ამ კრებაში იყრებიან ინდოეთიდამ, ჩინეთიდამ, არაბეთიდამ, ოსმალოდამ, აფრიკიდამ და პოლინეზიიდამ მოსულნი მეცნიერნი.

რა მშვენიერი სანახავი უნდა იყოს ამისთანა ყრილობა მეცნიერთა. ათასის მთითა და ზღვით დაშორებული ერთმანერთისაგან, სხვა-და-სხვა რჯულისა, სხვა-და-სხვა ენისა, სხვა-და-სხვა ჩამომავლობის მეცნიერნი ერთად იყრებიან იმისთვის-კი არა, რომ ერთმანერთს შეეჯახნენ, შეებნენ, ეომონ და ებრძოლონ მშვილდ-ისრითა ანუ მეხის მტყორცნელ ზარბაზნითა. არა, ისინი იყრებიან იმისთვის, რომ ერთმანერთს დაუახლოვდნენ, ერთმანერთს აცოდინონ საცოდნელი; აუხსნან, რაც ერთმანერთისა არ ესმით, გააგებინონ თავისი ცხოვრება, ნიჭი, სწავლა, ენა და სარწმუნოება. დედამიწის ერთის ნაპირიდამ მოსული კაცი მეორე ნაპირის მოსახლესა ხვდება, ძმურად ელაპარაკება, თავის გულს უხსნის და ახედებს გულის სიღრმესა, ნიჭიერებასა, ყოფა-ცხოვრებასა და ენა-მეტყველებაში და ეუბნება: აი, ნახე, შენც კაცი ხარ და მეც კაცი ვარ; ჩვენ ყველანი ძმები ვართო.

დიდება შენს ძლიერებას მეცნიერებაო! შენ უნდა გაანათლო ქვეყნის სიბნელე, მტრობა მოშალო და მშვიდობა დაამყარო კაცთა შორის. რაც უნდა იჭექოს ზარბაზანმა, იმისი ძალა უნდა შეიმუსროს მეცნიერების ძლიერებითა; უნდა გადნეს და დანაცრდეს მტრობით ამართული კედელ-საზღვარი და გაიდვას სამშვიდობო ხიდი კაცთა და ერთა ბედნიერებისა.

რასაკვირველია, გულ-გრილად და დაუდევრად ვერა ნახავთ ამისთანა სანახაობას, როდესაც ერის დიდ დარბაზში ერთადა ჰხედავთ თავ-მომწონე ინგლისელ, ანუ დარბაისელ გერმანელ პროფესორის გვერდით მზისაგან დამწვარს არაბის მეცნიერ შეიხს ანუ ხოჯას; ინდოეთის დარბაისელ მეცნიერ მწიგნობართან—ფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** მეორე ახალი წიგნი, რომელიც ამ დღეებშივე დაიბეჭდა, არის «ჩატეხილი ხიდი» ანუ შენიშვნები მკითხველისა „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ.

*** გაზ. «ნოვ. ობოზ»-ე ამბობს, რომ ჩვენ მალე დავბეჭდავთ ჩვენს აზრს «ოთარაანთ ქვრივის» შესახებაო და წელსვე დავიწყობთ ბეჭდვას რუსულად როგორც მაგ მოთხრობისას, ისე «კაცია-ადამიანისას». ამას გარდა ხსენებულს რედაქციას განუზრახავს ჩვენის პოეტების ლექსების თარგმნა, გ. წერეთლის ზოგიერთის ნაწერებისა და აგრეთვე სოჰქოთა ლიტერატურიდამაც უნდა სთარგმნოს რამდენიმე სხვა-და-სხვა ნაწერი.

*** დღეს, **22** მარტს, ბანკის თეატრში დანიშნულია სალიტერატურო საღამო ცხოველის სურათებით ქართულ სათეატრო დასის არტისტის ბ-ნ ვასილ აბაშიძის სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ დასის არტისტი ქალები და კაცები. ხოლო ცხოველ სურათებს გაჰმართავს მხატვარი ბაშინჯაღიანი.

*** გუშინ რუსეთის ფოსტა არ მოსულა და არც გაზეთები მიგვიღია.

*** პოლიციის მეექვსე ნაწილში სააკოვსა და თოფჩიბაშევს ჩხუბი მოუვიდათ რაღაზედაც. კარგა ხანს იკინკლავეს, ბოლოს თოფჩიბაშევმა სააკოვს დანა დაარტყა მუცელში. სააკოვი სასიკვდილოდ არის დაჭრილი და დამნაშავე-კი დაატუსაღეს.

*** შუაბაზარში, აკიმოვის ქუჩაზე, მე-25 №-რი სახლი სრულებით ჩამოზნექილია და ყოველ საათს უნდა ელოდეს კაცი იმის ჩამოქცევასა და ჩამონგრევას. საჭიროა ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არს, რომ უბედურება არ მოხდეს-რა; მით უფრო გასაფრთხილებელია, რომ ამ სახლს ქვეშ ყოველ დღე რამდენიმე ბავშვი იყრის თავსა სათამაშოდ.

*** გორი: კარგა ხანია, ასე მხიარულად, ნამდვილ ქართულად არ ჩაუვლია ყველიერსა და განსაკუთრებით ყეენობასა გორში, როგორც წელსა. გორი დიდის ხნობითვე გაყოფილია ორს ბანაკად, ანუ ორს უბნად: ზემო და ქვემო უბნებად. ამ ათი-ოცის წლის წინად მუდამ კვირა-უქმობით ამორჩეულს ალაგას გაჩნდებოდა მუშტის კრივი; ერთმანერთს მოსისხლე მტრებსავით ეკვეთებოდნენ და ზედ ეხოცებოდნენ. ბოლოს და ბოლოს ზემო უბნელებმა დასძლიეს, რადგან წამოეზარდნენ ძალუმი ბიჭები. ამ ჟამად ქვემო უბანშიაც იჩინეს თავი ახალგაზდა ხელოსნებმა, ასე რომ ძალით დაუპირისპირდნენ ზემოურებსა. ქვემო უბნელების სითამამე იქამდის მივიდა, რომ გადავიდნენ ზემოდ და ხარჯი მოჰკრიფეს. ორივე უბანს ჰყვანდა ყეენი. ქვემო უბანში ყეენად ჰყვანდათ ერთი გალოთებული, მოსულელო კაცი, რომელიც ვირზედ იჯდა, და გვერდით ვირითვე მიზდევდა დედოფალი; ორივეს ქართული გვირგვინები ედგათ თავზედ. წინ დაუხტოდნენ ბერიკები და ხარჯს ართმევდნენ გამვლელ-გამომვლელთა.

საღამო ჟამზე ორივ უბნელები შეიკრიბნენ ბაირაღებით შუა გორში, სადაც უნდა გაჰმკლავებიყვნენ ერთმანეთსა. ზემოდამ დიდ-ძალი ხალხი და მოკრივე მოაწყდა, ასე რომ ერთს ქვემოუბნელზე ათი კაცი მოდიოდა, მაგრამ არ შეუშინდნენ, იმდენს ეცადნენ, რომ ვიწრო ქუჩაში შეიტყუეს ზემოურები, დაუხვდნენ ვიწროში და სულ ზედ დაალეწეს თავ-პირი ზემოურებს, რომელნიც სიმრავლისა გამო ვიწროში ვერ გაიშალნენ და ამიტომ იძლიენენ ჯერ-ხნობითა. მაგრამ ბოლოს სიმრავლემ მოუკვეთა ძალა ქვემოურებს და უკან დაიხიეს, თუმცა-კი ზურგი არ უბრუნებიათ. უნდა სთქვას კაცმა, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, ჩხუბი და დავიდარაბა არა ყოფილა-რა.

*** იქიდამვე: არც გორელებს გვაკლია ქურდობა და ავაზაკობა, აქაც იციან დუქნების მტვრევა და დარდიმანდურად შევარდნა სახლებში. თებერვალში გასტეხეს ფარჩის დუქანი ვაჭრის სეგ—სა და სულ გაიტანეს, რაც-კი ხელს მოხვდათ; სამი თუ ოთხი ტომარა აევსოთ ფარჩეულობითა. ქურდები მალე გასთოკეს. ერთი ქურდთაგანი გასტეხიყო რომელღაც სურამელს ვაჭარს-სომეხსა, რომ ნაქურდალი ფარჩა გვაქვს და მოგყიდითო. ვაჭარი ბედად ცოტა გულმაგარი და გაიძვერაობაში დახელოვნებული ვერ ყოფილა (გვიკვირს-კი სურამელებისაგან), შეშინებია და სურამის ბოქაულისათვის გამოუცხადებია, რომ ასე და ასეა საქმეო. სურამის პოლიციის ბოქაული გორში ჩამოვიდა. ამის ჩამოსვლამდე აქაც მიიგნო კვალი გორის ბოქაულმა, ბ-ნმა ხერხეულიძემ. ორივემ უყარაულეს გორის ჯვრის ვიწროებში, სადაც ქურდებს უნდა გაეარნათ. ისინი აქ მატარებელში ჩასხდებოდნენ და სურამში აიტანდნენ საქონელსა, მაგრამ საქმე დუშაშში ვერ მოუვიდათ. ბ-მა ხერხეულიძემ და ტერ—აკ—მა შეიპყრეს ქურდ-ბაცაცები და საპყრობილეში უკრეს თავი; ნაქურდალი საქონელიც წაართვეს.

*** სოფ. ცხვარიჭამია (დუშეთის მაზრა): ცხვარიჭამიადგან მანკიდისაკენ სოფლიდგან გასულმა გლეხობამ დაიწყო შეკეთება თიანეთის გზისა, რომელიც მეტად გააფუჭა ზამთარმა. თხრილები სულ ამოვსებულია და გზები ნიაღვრისაგან დაოღრო-ჩოღროვებული. საბადურის მთაზე დღესაც შეკრულია ახალი გზა, რადგანაც ორის ვერსის მანძილზე ნამქერია ადლ-ნახევრამდის შეყრილი. ბევრი წვალება გამოიარეს ამ ზამთარს უცხო-ქვეყნელ მგზავრებმა ამ ალაგას. შესტოპავდნენ ნამქერში ეტლით და ვეღარც წინ მიდიოდნენ, ვეღარც უკანა ბრუნდებოდნენ, სანამ სოფლიდგან რამდენსამე უღელა ხარებს არ მოიშველიებდნენ. ამ გვარი ამბავი დაემართა 13-ს მარტს თიანეთის მემამულეს, ქ-ნ ბ. ბარათაშვილისას. თითქმის ათი საათი იყო ეტლით ჩაფლული თოვლში, სანამ 11 ვერსის მანძილიდგან ხარები არ მიაშველეს და დილის 4 საათზე უკანვე არ გამოიტანეს ეტლი. 14 მარტს კიდევ ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი, ბ-ნი მ. ელიოზიშვილი, და თიანეთის სახელმწიფო მამულების გამგებელი, ნ. ნევსკი, თიანეთში მიდიოდნენ, ამავე ადგილას ჩაეფლათ ეტლი ნამქრებში და თუმცა ეტლის ცხენები კარგი ჰყავდათ, მაგრამ უკან გამობრუნება მაინც ვერ შეიძლეს, სანამ რვა საათის შემდეგ ხარები არ მიაშველეს. საჭიროა, ეს თოვლი ან გასწმინდონ, ან ხარიხები მაინც გადევან იქით-იქით გზის თავებში და ამით დაიხსნან ეტლით მოგზაურები წვალებისაგან.

*** 20 მარტს პოლიციის მე-8 ნაწილში თავის გაუფრთხილებლობით ჩავარდა მტკვარში გლეხი ლორის საბოქაულოსი, სოფელ ლემეზლელი, სულეიმანი თავის ცხენითა და პოვოსკით. სულეიმანი დაირჩო; დაირჩო ცხენიცა. დამრჩვალი გლეხი ვერ იპოვნეს, პოვოსკა და ცხენი-კი მე-6 ნაწილში დაიჭირეს.

*** მე-6 ნაწილში, ვარანცოვის ქუჩაზედ, წოვიანოვის სახლებში, 20 მარტს სტრიხნინით თავი მოიწამლა მე-6 ნაწილის ბოქაულის ხელ-ქვეითის გალაბუევის ცოლმა, სერაფიმა გალაბუევისამ, 20 წლისამ. თვით-მკვლელობის მიზეზის შესატყობრად გამოძიება სწარმოებს.

<>

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ამას წინად «ივერიის» „ახალს ამბებში“ იყო დაბეჭდილი, რომ სამს მარტს წარმოდგენა იყო გორში გამართულიო. «თუმცა ამ წარმოდგენას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ზოგიერთებმა, ვისგანაც, პირ-იქით, დიდი იმედი გვქონდა დახმარებისა, მაგრამ მაინც თამაშობა მოხერხდაო», და სხვანი. აი, ეს მცირე შენიშვნა „ზოგიერთებმა“ მე მომაწერეს და მიცხავენ. მე ჩემის თავისთვის ერთხელვე განონად დამიდვია, რომ იმ საქმეზე, რომელშიაც მონაწილეობას ვიღებ, ხმა-კრინტი არ ამოვიღო ხოლმე, ამიტომ-რომ კარგი არ არის თავის თავზე ლაპარაკი, თავისის თავის ქება. ეხლაც, რადგან სამს მარტის წარმოდგენაში მონაწილე ვიყავ, ჩემს თავს ნებას არ მივცემდი დამეწერა რამე. ამიტომ გსთხოვ რედაქციას გამოაცხადოს, რომ იმ შენიშვნის დამწერი, რომელიც «ივერიის» მე-52 №-შია, მე არა ვარ. ამას იმიტომ-კი არ ვაცხადებ, რომ მეშინიან ვისიმე და რადგესაც ვსწერ რასმე, ვღობემძრახლაობ, არამედ იმიტომ ვსწერ, რომ არა მსურს ჩემზედ ვილაპარაკო და არც ისა მსურს, რომ უდანაშაულო კაცს ალმაცერად მიცქირონ *).

სოფრომ მგალობლიშვილი

ქ. გორი

*) ის შენიშვნა, რომელიც ამ წერილშია მოხსენებული, ბ-ნ ს. მგალობლიშვილისაგან არ მიგვიღია. რედ.

## ნარგვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ფრიად საინტერესო წიგნი დაუბეჭდია საფრანგეთში ერთს იქაურს სწავლულს, შარლ ლეტურნოს, ზნეობაზე. ამ წიგნში სწავლულს საგნად აქვს გამოარკვიოს, როგორ გაჩენილა ქვეყანაზე ზნეობა, როგორ გაზრდილა და გაძლიერებულა დროთა განმავლობაში, როგორი ყოფილა წინად ზნეობა კაცისა და როგორი იქნება შემდეგ. ამ წიგნს ეწოდება «Evolntion de la morale» და იმისი შინაარსი მოკლედ არის მოთხრობილი გაზ. «Рус. Вѣд.»-ის ფელეტონში.

რა არის ზნეობა ანუ მორალი? ზნეობა ანუ მორალი ის გრძნობა და აზრებია, რომელიც მოქმედობს მაშინ, როცა კაცი ერთიერთობაშია თავის მოყვასთა შორის. თუ ადამიანი უდაბურ კუნძულზე სცხოვრობს, რობინზონივით განმარტოვებული, იმისთვის ზნეობრივი გრძნობა და აზრი არ არსებობს ქვეყანაზე. ცხადია, რომ ზნეობა მხოლოდ მაშინა ჩნდება, როცა ადამიანი ადამიანთა შორისა სცხოვრობს, სოფელ-ქვეყანაშია და საზოგადოებაში იმყოფება. ამ სახით, რადგანაც ზნეობა ჩნდება დაიბადება საზოგადოებისა და სოფელ-ქვეყნის გაჩენასა და დაბადებისათანავე, იმისი ვითარებაცა და თვისებაც სოფელ-ქვეყნის ვითარებასა და თვისებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული: რაც უფრო მარტივია, უმეცარია სოფელ-ქვეყანა, მით უფრო, რასაკვირველია, კაცთა შორის ურთიერთობაც მარტივი და სადაა, შეუსაბამოა და ბრიყვული. მაშასადამე, ამ ნაირ სოფელ-ქვეყანაში თვით ზნეობასაც მარტივი, პირვანდელი ფერი და ხასიათი ექმნება.

სხვა სიტყვებით რომ გამოვსთქვათ ეს აზრი, ასე უნდა დავასკვნათ: ყოველს დროს თავისი შესაბამი ზნეობა აქვს და, რაც უფრო წარმატებულია სოფელ-ქვეყანა, მით უფრო წარმატებულია იმისი ზნეობა და მორალიცა. შარლ ლეტურნოს თხზულებაც ამას ამტკიცებს და ცხადად გვიხსნის, რომ ეს ასე ყოფილა, არის და იქნება კიდეც...

კაცი საზოგადოებრივი ცხოველია, ესე იგი, მუდამ კაცსავე ეტანება და მარტოდ მარტო გაძლება არ შეუძლიან. რაც უნდა ძველის-ძველი დრო აიღოთ, ისეთს დროს მაინც ძნელად წარმოიდგენთ, რომ ადამიანს სხვა ადამიანთა შორის არ ეცხოვროს და უსოფელ—ქვეყნოდ გაესაძლისოს. მაშასადამე, რაც უფრო ძველის-ძველ დრო-

---

გსა, ალტაცებულ იტალიელთან — გულ-დინჯსა და ფერ-წასულ ნოღაის მგზავსს ჩინელს, ან იაპონელს; თეთრ-თეთრა სკანდინაველ პასტორთან — შავგვრემან სომხის ბერსა.

აგერ წამოდგა კრებაში სხვათა მოლაპარაკეთა შორის არაბი ვინმე მეცნიერი და დაიწყო ლაპარაკი არაბულად, წაიკითხა თავისი გამოკვლევა. გამოდის საფრანგეთის ვინმე მეცნიერი, მაგალითად სახელოვანი რენანი, და არაბულსავე ენაზე ლაპარაკობს; ამავე გამოკვლევაზე ბაასობს გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი და სხვანი, სულ არაბულად. ღმერთო ჩემო, არაბეთის ქვეყანაა ეს ქვეყანა, თუ საფრანგეთი, ან გერმანიაა. გამოდის სომეხი და ლაპარაკობს ფრანგულად, ებაასება გერმანელი, ფრანგი და სულ სომხის ენის შესახებ აზმენ ლაპარაკსა; გამოდის გერმანელი და ინდოეთის ენაზე ბაასსა ჰმართავს, ინდოელები გერმანულად ელაპარაკებიან; აგერ გამოდის ლენორმანი ან სეისი და ვანის ქვებზე ნაწერს ქართულს ურევს, ებაასება იმას გერმანელი ფრიდრიხ მიულლერი ქართულისავე სიტყვების ან გრამატიკის ახსნით, მაგრამ აი უბედურება, ქართველი მეცნიერი აქ ვერ იპოვება, რომ აუხსნას რამე. ეჰ, შორს წაგვიყვანა ოცნებამ!

სჯობს ისევ პირდაპირ დავხედოთ ერთს ამ გვარ კრებას, რომელიც 1886 წელს ენკენისთვეში იყო ავსტრიის სატახტო ქალაქ ვენაში. სულ პირველად უნდა მოვიხსენიოთ, რომ ეს ერთა საურთიერთო კრება ორიენტალისტებისა მეშვიდე კრება იყო. წინად ამ გვარივე მეცნიერთა კრება შეიყარა პარიჟში, ლონდონში (მეორე), ფლორენციაში (იტალიაში 1878 წ. მეოთხე), ბერლინში (1881 წ. მეხუთე), ლეიდენში (1883 წ. მეექვსე) და ბოლოს, ამ 1888 წელს, მერვე კრება ქალაქ სტოკჰოლმში უნდა მოხდეს მეფის ოსკარ II მიწვევითა.

ორიენტალისტების კრება იმისთანა დიდ ქალაქებში იყრება ხოლმე, სადაც უფრო მომეტებული ბიბლიოთეკებია აღმოსავლეთის ენებზე დაწერილ წიგნებისა; სადაც მომეტებული სკოლებია აღმოსავლეთის ენებისა. ამ გვარი ქალაქი არის ლონდონი, პარიჟი, ბერლინი და ვენა. პარიჟში მოიპოვება სკოლა აღმოსავლეთის ცოცხალ ენებისა (l'ecole speciale des Iangues orientales vivantes). მაგრამ ყველა ამ ჩამოთვლილ ქალაქებზე აღმოსავლეთის ენების შესახებ უკეთესს ადგილადა სთვლიან ქალაქ ვენას, იმიტომ-რომ იქ ბევრი აღმოსავლეთის ბიბლიოთეკები და მუზეუმები არის, რომელთაგან ორი დაწესებულებაა შესანიშნავი: აღმოსავლეთის მუზეუმი (das Orientalische Museum) და აღმოსავლეთის აკადემია. რაც მუზეუმი დააფუძნეს, სულ ათიოდე წელიწადია თურმე. მუზეუმის საგანი თუმცა უფრო ის არის, რომ ყოველ გვარი ცნობა მიეცეს აღმოსავლეთის ქვეყნებში მოვაჭრეთა, მაგრამ სამეცნიერო მნიშვნელობაცა აქვს. მრავალ გვარი მიწერ-მოწერა აქვს აღმოსავლეთისაკენ, თვალ-ყურს ადევნებს მწერლობას და მშვენიერს სურათებიანს ჟურნალსა ჰბეჭდავს (Oesterreichische Monatsschrift Für den Orient).

მეორე შესანიშნავი რამ აღმოსავლეთის აკადემიაა, რომელიც დაფუძნებულია 1764 წელს მარია თერეზას მიერ. აკადემიის დანიშნულება ის არის, რომ სადიპლომატო სამსახურისათვის მოამზადოს ყმაწვილი კაცები აღმოსავლეთ ქვეყნებში გასაგზავნად. ამ სასწავლებელში ავსტრი-უნგრიის ქვეშევრდომთ შეუძლიანთ შესვლა, ვისაც გიმნაზიის კურსი შეუსრულებია, და ხუთი წელიწადი უნდებიან სწავლისა. საზოგადოდ საჭირო სწავლასა და ევროპიულ ენებს გარდა სავალდებულოა აღმოსავლეთის შემდეგი ენები: არაბული, სპარსული, და ოსმალური.

ამ აკადემიიდამ ბევრი შესანიშნავი მეცნიერი გამოსულა აღმოსავლეთის ენის მცოდნე და დიდი ღვაწლი დაუდვია მეცნიერებისათვის. ყოველმა გამოსულმა სტუდენტმა კარგად უნდა იცოდეს კითხვა, ლაპარაკი, თარგმნა და წერა ფრანგულისა, იტალიურისა და ოსმალურისა; მსუბუქად უნდა იცოდეს საჟურნალ-გაზეთო კითხვა-წერა: ინგლისურისა, მადიარულისა, სერბიულისა, რუსულისა და ახალ ბერძნულისა; არაბულისა და სპარსულისა თარგმნაც უნდა იცოდეს. აკადემიასთან არის ძვირფასი წიგნთსაცავი აღმოსავლეთის ენებზე ხელთ-ნაწერი და დაბეჭდილ წიგნებისა.

შესანიშნავია ვენაში სხვა ბიბლიოთეკების ხელთ-ნაწერ წიგნების გარდა აგრეთვე ძველებურ ქაღალდს, პაპირუსზე ნაწერის წერილების და წიგნების კრება ერც-ჰერცოგის რაინერისა, რომელმაც დიდ-ძალი ფული დახარჯა იმათ შეძენისათვის ეგვიპტეში და რომელმაც ეს განძი სამრეწველო ზემოხსენებულ მუზეუმს შესწირა. ამ პაპირუსზე ნაწერ წერილების რიცხვი 21,204 იყო 1886 წელს; ნაწერი არის ბერძნული, არაბული, კოპტური (ძველის ეგვიპტის ენისაგან წარმოებული ენა), ფაჰლაური (ძველი სპარსული), ებრაული, ლათინური, სირიული, იეროგლიფური, ეთიოპიისა და სხვა. ეს განძი ეგვიპტეშია შეკრებული და იმის კითხვასა და გამოკვლევაზე შრომობს ძველის ისტორიის მცოდნე, პროფესორი კარაბაჩეკი. ამისთანა სიმდიდრე ევროპის არც ერთს ქალაქებში არ მოიპოვება თურმე. მაგალითად, ბერლინში, პარიჟში, ან ლონდონში ამისთანა პაპირუსზე ნაწერთა რიცხვი ორ-სამ ათასზე მეტი არ ითვლება.

რა-კი ავსტრიის სატახტო ქალაქი ამისთანა სამწიგნობრო სიმდიდრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებასა და ძველის-ძველ კაცთა საზოგადოებას წარმოიდგენთ, მით უფრო პირვანდელს, მარტივს ზნეობას დაინახავთ.

მაგრამ აბა როგორ წარმოიდგინოს კაცმა ძველის-ძველი დრო? როგორ დაინახოს ან მაშინდელი სოფელ-ქვეყანა და ან იმისი ზნეობა? ამისათვის საჭიროა დავუკვირდეთ დღევანდელს ნადირივით მცხოვრებ ხალხსა. ეს ნადირივით მცხოვრები ხალხი სხვა-და-სხვა წარმატებულობისაა. ზოგი ნადირი ხალხი სულ დაბალ ხარისხზედა სდგას, ზოგი ცოტაოდნად წინ წასულა. აი ამ ნადირის ხალხის მდგომარეობას დაჰკვირვებია ბ-ნი ლეტურნო და ამ დაკვირვების შემწეობით ამტკიცებს,

რომ ზნეობის ზრდას თავისი ისტორია ჰქონიაო. ეს ისტორია შეიძლება ოთხ უმთავრესს ხანად გაიყოს. თითოეულ ხანას თავისი განსაკუთრებული, ცხადად გარჩეული ხასიათი აქვს. პირველ ხანაში კაცი კაცსა სჭამდა. ამ ხანას *მხეცური* ხანა, ანუ *პირუტყველი* ხანა უნდა დაერქვას. მეორე ხანას ის განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა, რომ კაცს კაცი მონადა ჰყავნდა. ამ ხანას *ველურობის* ხანა უნდა ვუწოდოთ. მესამე ხანაში ველური ზნე-ხასიათები თან-და-თან საკეთილოდ იცვლება განათლებისა და ქვეყნის წარმატების გამო, თუმცა საფუძველი ცხოვრებისა ისევ მონებაა, რომელიც თან-და-თან, დროს განმავლობაში ბატონ-ყმობას უთმობს ალაგსა. ამ ხანას ზნეობისას *ბარბაროსული* ხანა უნდა ვუწოდოთ. დარჩა მეოთხე ხანა, ის ხანა, რომელშიაც დღეს ჩვენა ვსცხოვრობთ. ამ ხანაში მონობაცა და ბატონ-ყმობაც გადავარდა და იმისი ადგილი დაიჭირა მოჯამაგირეობამ, სამუშაოდ კაცის დაქირავებამ: ეს მოჯამაგირეობა და კაცის სამუშაოდ დაქირავება იგივე მონობაა, მხოლოდ გარეგნობით უფრო ნაკლებ შესაზარავი. ამ ხანაში ზნეობითაც და კანონითაც აღკრძალულია კაცის-კვლა, მაგრამ ქვეყანა და საზოგადოება-კი მაინც აღტაცებით სტკბება, როცა აუარებელი ხალხი იხოცება ომებში. ამავე ხანაში ზნეობაცა და კანონიც წინააღმდეგია მრავალ-ცოლობისა, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც საქვეყნოდ და საჯაროდ არსებობს ეგრედ-წოდებული პროსტიტუცია და სახლნი ავ-ზნეობისანი; ხოლო ღალატი ცოლ-ქმრობაში დანაშაულობად-კი არ არის მიჩნეული, არამედ მხოლოდ სუბუქ ცოდვად ითვლება. უმთავრესი და ერთად-ერთი სურვილი და ნატვრა ამ დროში ფულია; ყველაზედ მეტად ოქროა თაყვან-ცემული და გაღმერთებული. ეს ხანა *ფულის* ხანაა.

აი ეს ოთხი ხანა თან-და-თან და შეუმჩნევლად უთმობდა ერთმანერთს ალაგს ცხოვრებაში. ამ ოთხში პირველი ორი ისტორიის უწინარეს დროისაა, ხოლო დანარჩენი ორი —ისტორიულისა.

დაწვრილებით თითოეულის ხანას აღწერა და გარკვევა შორს წაგვიყვანს და ამიტომ დღეისათვის ამაზე შევწყვეტავთ საუბარს შარლ ლეტურნოს წიგნის თაობაზე.

---

## უცხოეთი

**იტალია.** ამ დღეებში დიდი ჩოჩქოლი და აღიაქოთი ამტყდარა იტალიის პარლამენტში. დეპუტატს გავალოტის უკითხავს მთავარ-მინისტრისათვის: რა მიზეზია, რომ ყველა დეპეშებს არ აბეჭდვინებთ იტალიის გაზეთებსაო? ან კიდევ რით უნდა ავხსნათ, რომ ზოგიერთის დეპეშის ბეჭდვის ნება ეძლევა მხოლოდ ოფიციოზურს გაზეთებს და სამინისტროს მოწინააღმდეგე გაზეთები-კი უდეპეშოდა რჩებიანო? ამაზე მთავარ-მინისტრმა კრისპიმ ასე უპასუხა: «როცა მე ჯერ მთავარ-მინისტრი არ ვიყავ, მეც სხვაფრივ ვუცქეროდი მაგ საქმეს, მაგრამ მას აქეთ-კი, რაც მინისტრობა ჩავიბარე, აზრი სრულიად შემეცვალა. ეხლა მე მგონია, რომ ნაპოლეონ III-ს სრული სიმართლე მიუძღოდა, როცა თავისუფლებას არ აძლევდა გაზეთებს. მეც ეხლა იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენშიაც სასტიკად უნდა მოვექცეთ მწერლობასა, მით უფრო, რომ დღეს მწერლობა ჩვენში ხელობად გადიქცა და სრულიად დაჰკარგა ხასიათი მოციქულებრივის მოღვაწეობისა». ამ პასუხმა დემოკრატის მინისტრისამ საშინლად ააღელვა როგორც დეპუტატები, ისე ის ლოჟა, სადაც მწერლები და პუბლიცისტები ისხდნენ. ოფიციოზურის გაზეთის «Pungolo»-ს რედაქტორი და გამომცემელი, დეპუტატი კომინი, წამოდგა და საშინელის განრისხებით და გაბრაზებით შესძახა კრისპისა: «თქვენ უფლება არა გაქვთ მაგ სახით შეურაცხჰყოთ ყველა პუბლიცისტები და მწერლები». რეპორტიორების ლოჟიდამ დაიწყეს ყვირილი: «ძირს კრისპი!» „გაუმარჯოს კომინსაო“! მემარჯვენეთა დასი ჰყვიროდა: «ძირს ჟურნალისტებიო!» მოხდა დიდი არეულობა. თითქმის ნახევარ საათი გასტანა ამ აღიაქოთმა, ბოლოს დაშოშმინდა პალატა და კრისპიმ უფრო რბილად დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ამბობენ, რომ ამ საქციელს კრისპის არ შეარჩენენო. დეპუტატმა განგიმ, რომელიც თავ-მჯდომარეა სალიტერატურო კომიტეტისა, უკვე მოუწოდა კრებას და უნდა პროტესტი გამოაცხადებინოს კრისპის საწინააღმდეგოთ. ვინ იცის, იქნება მკაცრად დაუჯდეს კრისპის ასეთი შეურაცხყოფა მწერლობისა, რომელსაც დიდი საპოლიტიკო მნიშვნელობა აქვს იტალიაშიო, ამბობს ოფიციოზური გაზეთი იტალიის სამხედრო სამინისტროსი «Exercito».

**ოსმალეთი.** ერთის რუსულის გაზეთის სტამბოლელი კორრესპონდენტი დაწვრილებით უამბობს მკითხველებს, რა კაცია დღევანდელი ხონთქარი ოსმალეთისა აბდულ-ჰამიდი და როგორ მოღვაწეობს და შრომობს თავის სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ხონთქარი ძალიან სასურველი, შრომის-მოყვარე, კეთილ-გონიერი და თავის ერის მოსიყვარულე ხელმწიფეაო. იმისი მადლობელი უნდა იყოს ოსმალეთი, რომ დღეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი საკეთილოდ შეიცვალა და ბევრად განკარგებულია. რათა რიგიანი მოხელენი მოუპოვოს სახელმწიფოსაო, ამბობს კორრესპონდენტი, — ხონთქარი დიდად მფარველობს სკოლებს და შემწეობას აძლევს განათლების საქმესა. ამ ჟამად, მაგალითად, სტამბოლს აქვს თავისი სამედიცინო და საფარმაცევტო სკოლები, აქვს აგრეთვე სკოლა საფინანსო და საადმინისტრაციო მეცნიერებათა საცოდნელად, სკოლა საკომერციო და საფილოლოგიო. ამას გარდა რამდენიმე სკოლებია კიდევ სამეურნეო და სახელოსნო. ამ სკოლებში სწავლობენ მოსლემინებიცა და ქრისტიანებიცა. ოსმალეთში უკვე გაჩნდნენ განათლებულნი მოხელენი და ათიოდე წლის შემდეგ ხომ მთელი ადმინისტრაცია სულ განათლებულის მოხელეებით გაივსება.

ამ სპეციალურმა სკოლებმა დიდად გააძლიერა საერო განათლების საქმე. სტამბოლის ყველა უბნებში ეხლა პირველ-დასაწყისი სკოლები არსებობს. ამას გარდა როგორც სტამბოლში, ისე სოფლებშიაც მრავლად არის დამართული მეორე ხარისხის პირველ-დასაწყისი სასწავლებლები, რომლებსაც «რუშდიეს» ეძახიან.

მაგრამ ყველაზე დიდი საქმე ის არის, რომ ოსმალეთში შემოიღეს სკოლები დედათათვის. ამ სკოლების წყალობით მალე სრულიად შეიცვლება ოსმალთ ზნე-ხასიათები. რაკი მოსლემინთა ქალი განათლდება, მაშინ გაჩნდება მოსლემინთა საზოგადოებაცა.

რომ უფრო კარგად მიდიოდეს ამ სკოლების საქმე, მისი უდიდებულესობა ხონთქარი აბდულ-ჰამიდი თავის საკუთარის ხაზინიდამ აძლევს ამ სკოლებს შემწეობასა.

ხშირად ამბობდნენ ხოლმე და მართალიც არის, რომ ხონთქარი პირველს მინისტრზე ბევრსა შრომობს და მუშაობსო. სწორედ ასეც არის. ბრძანებითა და ირადებით-კი არა ჰმართავს თავის სახელმწიფოს ხონთქარი, არამედ გამუდმებულის შრომითა. დილით ადრე დგება და ღამე გვიან იძინებს. მთელს დღეს შრომობს, სწავლობს, კითხულობს, ფიქრობს სხვა-და-სხვა სასარგებლო საგანზე.

კერძო ცხოვრებაში ძალიან თავ-დაჭერილია და ამიტომ ფრიად ჯან-მრთელიც არის. ამისათვის მოსლემინთაცა და ქრისტიანეთაც ძალიან უყვართ თავიანთი ხელმწიფე.

<>

## წვრილი ამბები

საკვირველი ამბავია, იმპერატორმა ვილჰელმმა 91 წლიწადი იცოცხლა, ე. ი. სწორედ იმდენი, რამდენისაც არიან სამი იმისი მემკვიდრე ერთად. იმპერატორი ფრიდრიხ III 56 წლისაა, მემკვიდრე პრინცი ვილჰელმი—29 წლისა და იმის უფროსი ვაჟიშვილი—6 წლისა, რაც, ერთი-ერთმანერთზე რომ მივიდეთ, 91 წლიწადი გამოვა.

— იმპერატორ ვილჰელმის გარდაცვალების გამო ეგვიპტის ხედივს უბრძანებია, რომ 40 დღე შავებში იყავითო.

— ახალმა იმპერატორმა გერმანიისამ, ფრიდრიხმა, პრუსიის მაღალ-ხარისხოვანი ორდენი შავის არწივისა უწყალობა იუსტიციის მინისტრს დ-რს ფრიდბერგსა და კაპრობისას—მაიბახს. ფრიდბერგის ორდენით დაჯილდოვების მიზეზად გერმანიის გაზეთები იმას ასახელებენ, რომ მინისტრთა ბჭობაზედ, როცა თ. ბისმარკმა კანონ-პროექტი შეიტანა რეგენტობის გამო, დ-რი ფრიდბერგი წინა აღუდგა და დაბეჯითებით ამბობდა: არც რეიხსტაგსა და არც თითონ იმპერატორს ნება არა აქვთ რეგენტი დანიშნონ იმ დრომდე, ვიდრე კანონიერს მემკვიდრეს გონება არ დაუკარგავს. მე, ფრიდბერგი, როგორც იუსტიციის მინისტრი, მოვალე ვარ თვალ-ყური ვადევნო სახელმწიფოს კანონების წესიერად და რიგიანად შესრულებას და ამიტომ გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ უკანონო საქმის ჩადენას აპირებს იმპერიის კანცლერიო. თ. ბისმარკის განზრახვა არ შესრულდა იუსტიციის მინისტრის ასეთ წინააღმდეგობის გამო და ეხლა-კი ახალმა იმპერატორმა უმაღლესის ორდენით დააჯილდოვა ფრიდბერგი ერთგულ სამსახურისათვის. ამისთანავე ორდენი უწყალობებია იმპერატორს ფრიდრიხს თავის მეუღლის იმპერატრიცა ვიქტორიასათვის იმის ნიშნად, რომ ჩემის ავადმყოფობის დროს თავ-განწირულად მივლიდა და მპატრონობდაო. დაკანონებული არ არის, რომ ორდენები შეიძლება იმპერატრიცას მიეცესო, ხოლო ასეთი ამბავი არც პირველია. მაგალითებრ, მეფე ფრიდრიხ დიდმა უმაღლესი ორდენი მიართვა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ს. შემდეგ ესევე ორდენი მიეცა ეხლანდელ ქვრივ იმპერატრიცა ავგუსტას, როცა ავგუსტა დაგვირგვინდა კენიგსბერგში 1861 წელს. ეს ორდენი ამ ჟამად ეხლანდელ იმპერატრიცა ვიქტორიასა აქვს. ვარსკვლავი შავის არწივისა, რომლითაც დაჰმარხეს განსვენებული იმპერატორი ვილჰელმი, ახალი გააკეთეს და ორდენი-კი თავის მამა-პაპათა პაწია სურათებითურთ, რომელსაც სიცოცხლეში ატარებდა, შენახულია სამეფო ოჯახში სახსოვრად.

— პაპა ლეონ XIII-ს განუზრახავს ვატიკანში გაჰმართოს მუზეი «Museo Leonino», რომელშიაც მოთავსებული იქმნება ყველა ნივთები ამასწინდელ ვატიკანის გამოფენისა. ეს მუზეი სამხატვრო-საეტნოგრაფიო იქმნება.

— ლუიზა მიშელმა დაჰბეჭდა რომანი «Le monde Nouveau»-ი. «Temps»-ი ამბობს, რომ ამ რომანში ლუიზა ძალიან უკარგისი შეგირდია გაბორიოსი, მონტეპენისა, პონსონ დე-ტერაილისა და არც იმათი ნაყოფიერი ფანტაზია აქვსო.

— ამას წინად თეატრს პორტოს ცეცხლი გაუჩნდა. აქაც სწორედ ისე გა-

---

სავსეა, რასაკვირველია, დიდი კრება უნდა მომხდარიყო მეცნიერ ორიენტალისტებისა. მრავალი მეცნიერი ეჩქარებოდა, რომ მისულიყო, ენახა ეს ბიბლიოთეკები და მუზეუმები; დაჰკვირვებოდა, მოეპოვნა, შეეტყო ახალი რამ და მოჰლაპარაკებოდა სხვებსა.

მეტი არ იქნება ავწეროთ მეშვიდე კრება ორიენტალისტებისა. სულ პირველად მოსახსენებელია, რომ ავსტრიის მმართებლობამ დიდი სიუხვე გამოიჩინა ხარჯის შესახებ და ცდილობდა ყოველ გვარი მფარველობა აღმოეჩინა. ავსტრიის იმპერატორის გვარეულობის ერთმა პრინცმა მიიღო სახელი კრების მფარველისა და პატრონისა. განათლების მინისტრმა მიიღო კრების საპატიო თავ-მჯდომარეობა. საპატიო წევრებად ჩაეწერნენ სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მბრძანებელნი და ხარისხოვანნი გვარნი: ბრაზილიის იმპერატორი დონ-პედრო, შვეციის და ნორვეგიის მეფე ოსკარ მეორე, ერც-ჰერცოგი კარლ-ლუდოვიკი, ეგვიპტის ქედივი თეფიკ-ფაშა, ჰერცოგი ფილიპე კობურგისა, ვენის მთავარ-ეპისკოპოზი კარდინალი განგლბაუერი, მზრუნველი ვენის სამეცნიერო აკადემიისა ფონ-შმერლინგი, რექტორი უნივერსიტეტისა ციმერმანი და სხვანი.

ენკენისთვის 25 (ჩვენებურ 13-ს) დანიშნული იყო პირველი სხდომა კრებისა. წინა დღის საღამოზე კომიტეტმა მიიწვია მოსულნი ვახშამზე. სხვა-და-სხვა ქვეყნებიდამ, აღმოსავლეთიდამ და დასავლეთიდამ, 150 კაცი იყო მოსული, 50 კაცი თვით ვენის ქალაქში მცხოვრები მეცნიერი ერია, ასე რომ ორას კაცზე მეტი შეიყარა. აღმოსავლეთის ქვეყნიდამ წარმომადგენელთა შორის იყო ინდოელი დოქტორი ბხანდარქარი, ეგვიპტიდამ ბევრნი იყვნენ და იმათი წარმომადგენელი იაკუბ-ართინ-ფაშა იყო; აქვე ჰნახავდით ჩინელებსა და იაპონელებს. ევროპის ქვეყნებიდამა და ყველა სახელმწიფოდამ იყვნენ მოსული მეცნიერნი. რუსეთიდამ სხვათა შორის იყო პროფესორი სომხურის ენისა, პატკანოვი.

ყველამ ვიცით, რომ სამეცნიერო საუბრისა და ცილობის დროს ყველას ვერ შეიტყობს კაცი და დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერთა ერთმანერთში შინაურულად ლაპარაკს. ამისთანა ლაპარაკით მრავალს საგნებზე უფრო მარტივად და ცხოვლად გამოჰკითხვენ ერთმანერთს, უფრო ახლოს გაეცნობიან, ვიდრე გამომჩვენებით საუბრის დროს საერთო კრებაზე. ამის გამო ვახშამზე წინა დღით დაუახლოვდნენ მეცნიერნი ერთმანერთსა და მხიარულად გაატარეს საღამო.

მეორეს დღეს ვენის უნივერსიტეტის დარბაზში იყო პირველი კრება. ავსტრიის მმართებლობა ყოველ ღონის-ძიებასა ხმარობდა, რომ აღმოსავლეთის მეცნიერთა კრებისათვის მომეტებული ბრწყინვალება მიეცა. ამ ხანებში ვენის ძველ უნივერსიტეტის შენობა გაეახლებინათ და უნდა ეკურთხებინათ. პირველ გახსნისათვის კრების დღესასწაულიც აქ მოათავსეს.

დიდი დარბაზი უნივერსიტეტისა მეტის გემოვნებით მოერთოთ კრებისათვის. სადაც კომიტეტი კრებისა იჯდა, მაღლობზე, კედლები და კათედრა მოეფარდაგებინათ ორის ძვირფასის და მშვენიერის ძველებურის ხალიჩებით, რომელთაგან ერთი მეთოთხმეტე საუკუნეშია მოქსოვილი, ქალაქ დამასკში, მეორე სპარსულია. კედლის გარშემო გრძელ სტოლებზე გამოეწყოთ მრავალი ძვირფასი ხელთ-ნაწერი და დაბეჭდილი წიგნები, აღმოსავლეთის ენებზე დაწერილი. სხვათა შორის ამ წიგნებში იყო ეგვიპტეში დაბეჭდილი არაბული ლექსიკონი. აქვე იყო რუსეთის არქეოლოგიის საზოგადოების აღმოსავლეთ ნაწილის «Труды и Записки», რომელშიაც იბეჭდება ხოლმე საქართველოს ძველ ნაშთთა შესახებ წერილები. შესანიშნავ დაბეჭდილ წიგნებში იყო ეგვიპტის ძველი საისტორიო მასალა, «წიგნი მკვდართა», რომელზედაც დიდი საუბარი ყოფილა წინად ყოფილ კრებებზე და რომლის მომზადებისა და დაბეჭდვისათვის პრუსიის მმართებლობას და უნივერსიტეტს დიდი ფული დაუხარჯავთ. ამ საქმეზე უმუშავნია ქენევის პროფესორს ნავილლს. მეორე შესანიშნავი შრომა: Nouveaux Melanges orientaux. Memoires, textes et traductions publiés par les professeurs de l'école spéciale des langues orientales vivantes… Paris, 1886. ამასთანავე დირექტორმა წარადგინა შრომა პარიჟის პროფესორებისა, რომლებიც ასწავლიან აღმოსავლეთ ენების სკოლაში. მესამე შესანიშნავი წიგნი იყო ჰოლანდიის ინსტიტუტისა, რომელიც ჰოლანდიის ინდოეთის შესწავლისათვის არის დაწესებული. ეს წიგნი იყო არაბული ანდაზები, მრავალის ეთნოგრაფიულის და ლინგვისტიურის ცნობებითა. ამ ანდაზების შეკრებისათვის ყმაწვილი მეცნიერი, მცოდნე არაბულის ენისა, სნუკ-ხურგრონიე, წავიდა არაბეთს, მუსულმანთა წმინდა ქალაქ მექკას (ქაბას), ერთი წელიწადი იქ იცხოვრა და კიდეც შეჰკრიბა. ამას შემდეგ ერთი გამოჩენილი შრომა კიდევ პაპირუსზე ნაწერების გამოცემა იყო: Corpus Papyrorum Arciducis Raineri. ეს დაბეჭდილი წიგნები ფრიად შესანიშნავ წიგნებად მიაჩნიათ აღმოსავლეთის მეცნიერთა და აღტაცებით მიიღეს, რადგანაც წინანდელს კრებებზე ბევრი რამ ჰქონოდათ იმათზე ნალაპარაკევი, წაკითხული და გაგონილი.

(დასასრული იქნება)

ჩენილა ცეცხლი, როგორც «Opéra Comique»-ში. დიდ-ძალ მაყურებელთ კარებიდგან ვეღარ გააღწიეს თავი და ფანჯრებიდგან გადაცვივდნენ ქუჩაში. არტისტები თეატრის ტანისამოსით გაიქცნენ. საშინელი ამბავი მოხდა კარებებთან, გარედ გამსვლელნი ერთი-ერთმანერთს ფეხ-ქვეშ იგდებდნენ, სრესავდნენ და ჭყლავდნენ. როცა ცეცხლი განელდა, დიდ-ძალი ადამიანის ასოები აღმოაჩინეს ცეცხლში დაღუპულთა.

— ინგლისის ჟურნალი «Star»-ი ამბობს, რომ პრინცესა კლემენტინამ ამას წინად სოფიას ახლო მამული იყიდა, სადაც ცხოვრებას აპირობს ზაფხულობითაო. სახლის აშენება ამ მამულში მინდობილი აქვს ხუროთ-მოძღვარს სტოკსა. პრინცესას მოუნდომნია, რომ ეს სახლი იმ ყაიდაზედ აეშენეთ, რა ყაიდაზედაც არის აშენებული ჩემი სასახლე ებენტალშიო. ამის გამო სტოკი წასულა ებენტალში იქაურ სასახლის შესასწავლად.

# დეპეშა

19 მარტი

ვარშავა. გუშინ სალამოზედ ვილნოსა და ვარშავას შუა 827 ვერსზედ ხიდი გააფუჭა წყალმა. ხიდის ერთი მხარე წყალში ჩავარდა. მგზავრნი გარს უვლიან პოლესიის გზით. განზრახვა აქვთ, რომ მოსიარულეთათვის ნავები გაჰმართონ და ნავებით გადაიყვანონ ხოლმე მეორე ნაპირსა.

პარიჟი. სამინისტროს გადადგომა შეიწყნარეს. რადიკალთა მემარცხენე დასი შემწეობასა ჰპირდება პრეზიდენტს სამინისტროს შედგენაში, თუ სამხედრო მინისტრად ბულანჟე იქმნებაო. პალატის პრეზიდენტი ფლოკე თანახმაა სამინისტრო შეადგინოს. ამბობენ, რომ კრიზისი დიდხანს გასტანსო.

20 მარტი

პეტერბურგი. გუშინ გერმანიის ელჩმა შვეინიცმა გარდასცა ხელმწიფე იმპერატორს თავის ელჩობის ახალი საბუთები. გუშინვე წარსდგა ხელმწიფის წინაშე და წარუდგინა თავის ელჩობის საბუთებივე ახალმა ელჩმა სერბიისამ, სიმიჩმა.

„ფინანსთა სამინისტროს უწყებაში“ გამოცხადებულია დროებითი ცნობები 1887 წლის ჩვეულებრივ სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალზე: შემოსავალი 830,868,000 მანათამდე ყოფილა, ესე იგი 76½ მილიონით, ანუ 10% მეტი 1886 წლისაზე. ამ ფულიდგან რომ გამოვიდეთ წინანდელ საანგარიშო წლების შემოსავალი, რომელიც-კი შარშან მიუღია ხაზინას, ჩვეულებრივი შემოსავალი 1887 წლისა იქნება 809,264,000 მანათი. მაშასადამე, 2,895,000 მანათით მეტი ყოფილა შემოსავალი მოლოდინზე და 73,658,000-ით მეტი წარსულ 1886 წლისაზედ. უმთავრესმა წყაროებმა შემოსავლისამ წელს უფრო იმატა. 1887 წლის ჩვეულებრივი ხარჯი აღრიცხული იყო 832,927,000 მან., ხოლო წარსულს წელს-კი სულ 832,225,000 დაიხარჯა, სახელდობრ: ჩვეულებრივს ხარჯზე 1886 წ. თანხიდგან დაიხარჯა 765 მილიონამდე; ჩვეულებრივს ხარჯზევე, რომელიც დაფარულ იქმნა 1886 წ. ქაღალდის ფულით—26 მილიონამდე; ჩვეულებრივსა და არა-ჩვეულებრივს ხარჯზე, რომელიც 1886 წლის წინა წლებს უნდა მიეწეროს—32 მილიონამდე, და 1888 წ. ანგარიშში—9,000,000 მანათამდე. ეს ჯამი ხარჯისა 832,225,000 მან. 1886 წლის ჩვეულებრივ ხარჯის ჯამსა 12,000,000-ით აღემატება. ის 32 მილიონი, რომელიც შარშან დაიხარჯა 1886 წ. წინა წლეების ანგარიშში, კარგად არ არის განსაზღვრული, თუ ჩვეულებრივს ხარჯს რამდენი ეკუთვნის და არა-ჩვეულებრივს რამდენი, ხოლო დაახლოვებით შეიძლება 6,890,000 მან. ჩავაგდოთ. ეს ფული 832,225,000 მან. ჯამიდგან რომ გამოვერიცხოთ, მაშინ გამოვა, რომ 1887 წელს ჩვეულებრივი შემოსავალი ყოფილა 830,868,000 და ჩვეულებრივი ხარჯი—825,335,000 მანათი.

გუშინ შესდგა პირველი მოსამზადებელი კრება მინისტრის ამხანაგის პლევეს თავ-მჯდომარეობით იმ კომისიისა, რომელმაც უნდა იზრუნოს, რომ სოფლის ნაწარმოებთა ფასმა მაღლა აიწიოს.

იმ პროექტით, რომელიც ამბობს, რომ დამნაშავენი ციმბირში ნუღარ გაიგზავნებიან და აქვე—ციხეში გადაიხადონ მაგიერი სასჯელიო, შეიძლება გაიგზავნონ ისინი, რომელთაც სოფლის საზოგადოებანი გადაუწყვეტავენ სასჯელად გაგზავნას, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ გაგზავნილს ორის წლის საცხოვრებელი მისცენ.

ფინანსთა სამინისტროში საადგილმამულო ბანკთა წარმომადგენლები შუამდგომელობენ გირავნობის ფურცელთა განაღდებისათვის წესების დამტკიცებასა.

ახალის საპარლამენტო პროექტის მიერ დადგენილ წესებით სხვაგან წასვლის მოწმობა უსასყიდლოდ მიეცემათ: ოფიცრების ქვრივებს; ღვდელთა სქესის არა-წლოვან ობლებს; იმ მოხელეთა ქვრივებს, რომელთაც შრომა არ შეუძლიანთ, ხოლო პენსია ეძლევათ ნამსახურ მოხელეთა მფარველ კომიტეტიდგან; სამსახურიდგან გამოსულ ჯარის-კაცთა ქვრივებს, რომელთაც ხაზინიდგან შემწეობა ეძლევათ, და იმ ჯარის-კაცთა ცოლებს, რომელნიც სამსახურში არიან.

ცარიცინი. ნაოსნობა დაიწყო. დღეს ასტრახანიდგან არ მოვიდა ორი მგზავრთა გემი.

ბუქარესტი. თ. ბიბესკოს მიერ დეპუტატთა პალატაში წარმოთქმულ სამშვიდობო სიტყვის გამო, რომელმაც დიდი ზედ-მოქმედება იქონია, პალატის პრეზიდენტმა სთხოვა დეპუტატებს, რომ უთანხმოებასა და აშლილობას თავი დაანებეთო. ამაზედ სამინისტრომ თანხმობა გამოაცხადა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ დღეებში იქმნენ განთავისუფლებულ დაპატიმრებული დეპუტატები, ფლევა და ფილლიპესკო.

ბერლინი. დანაშაული ეპატიათ იმათ, ვისაც უდიდებულესობისათვის შეურაცხყოფა რამ მიუყენებია, მთავრობისათვის წინაამდეგობა გაუწევია, მწერლობის კანონი დაურღვევია და ან სხვა რამ დანაშაული ჩაუდენია.

ბუქარესტი. ბრატიანომ სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა შეიტანა და, მგონი, თავისი სიტყვა აღარ გადასთქვას. აქამომდე ჯერ სასახლეში არავინ მიუწვევიათ. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ახალის კაბინეთის შედგენას თავად გიკას მიანდობენო.

21 მარტი

პარიჟი. გაზეთებს უეჭველ საქმედ მიაჩნიათ, რომ ფლოკე გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნება, ფრეისინე—სამხედრო მინისტრად და გობლე—საერო განათლებისადაო; უფრო საეჭოდ მიაჩნიათ, რომ ფლურანსი დაინიშნოს გარეშე საქმეთა მინისტრად, კრანცი—ზღვათა მინისტრად, იეტა—მეურნეობისად, ლოკრუა—ვაჭრობისად; დანარჩენ სამინისტრო ადგილებისა გადაწყვეტით არა ისმის-რა. არც ის ისმის, მოინდომებენ თუ არა ოპორტუნისტები ახალს სამინისტროში მონაწილეობის მიღებასა. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად, ალბად, ბრისონი იქნება დანიშნულიო.

პარიჟი. სალამოზედ ფლოკე უნდა მოჰლაპარაკებოდა ხელ-ახლად გობლესა და ფრეისინეს. ამბობენ, რომ ფრეისინე გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნებაო.

პეტერბურგის ბირჟა 18 მარტი

| | მიეცემათ. | გაიყიდა-მოიყიდა. | მიყიდულობენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 48 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 190 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 42 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 269½ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 247¾ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მარტი 31 დღით არის.

22 დღე სამშაბათი. წმ. წამ. ვასილისა და იროდასი. კათოლ. ეპ. პავლესი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—39, ჩადის 6—28. მთვარე 23 დღისაა.

23 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ნიკონისა და ლიდიასი. კათოლ. პელაგიასი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დაარსდა ამიერ-კავკასიის ინსტიტუტი კეთილშობილ ქალთათვის ტფილისში, 1740 წელს.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—37, ჩადის 6—30. მთვარე 24 დღისაა.

24 დღე ხუთშაბათი. ღირსისა ზაქარიასი და მოწამ. სტეფანესი. კათოლ. მარკისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—89, ჩადის 6—31. მთვარე 25 დღისაა.

25 დღე პარასკევი. ხარება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა. კათოლ. ხარებავე. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში ჩამოვიდა გრაფი მიხ. სვიმ. ვარანცოვი, 1845 წ.—ძეგლის აგება გრაფ ვარანცოვისათვის, 1867 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—32. მთვარე 26 დღისაა.

26 დღე შაბათი. გაბრიელ მთავარანგელოზისა და მოწ. ირინესი. კათოლ. ემანუილისა, მუსულმ. მე-26 რიცხვი თთვის რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—33, ჩადის 6—3. მთვარე 27 დღისაა.

27 დღე კვირა. წმ. იოანესი და მანუილისა. კათოლ. იოანესი. მუსულ. მე-27 დღე თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—31, ჩადის 6—34. მთვარე 28 დღისაა.

28 დღე ორშაბათი. ღირსისა სტეფანესი და ილარიონისა, კათოლ. სიკტისა. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—35. მთვარე 29 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მარტიდამ 1 აპრილამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული | 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | | 3 | » |
| 2 › | | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | › |
| › » 2 › | | 3½ | |
| › › 3 › | | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | › |
| 1-ლის ხარისხისა . . | | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | | 4 | › |
| მე-3 — . . . | | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 11 | › |
| სუკი . . . . | | 16 | › |
| ძროხის ხორცი . . . | | 9 | › |
| › 2 › | | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | » | › |
| › 2 › | | » | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით სალამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით სალამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან. ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, სალამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## განცხადებანი

დავიწყეთ გასყიდვა სრულიად უშიშარის

შვედურის ასანთებისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა

ზ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº. ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—39)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | ,, | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . | ,, | 20 |

# გრ. ჩარკვიანის

## ქართულის წიგნის მაღაზიის მიერ

გამოცემული წიგნები ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

ტფილისს—გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ლორის-მელიქოვის ქუჩ., ზუბალოვის სახლი;

ქუთაისს—ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიაში;

ხონს—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში;

გორს—კონსტანტინე ცხვედაძეს წიგნის მაღაზიაში;

ოზურგეთს—კონსტანტინე თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში;

ბათუმს—„კოგზალის ბუფეტში“;

ფოთს—ბესარიონ კალანდაძესთან;

სოხუმს—გ. ჭამჭაძის მაღაზიაში;

ახალციხეს—ალექსი სალარიძეს მაღაზიაში, ძველ ქალაქში;

თელავს—ალექსანდრე მერაბოვის მაღაზიაში;

სიღნაღს—სანდრო ყაჯარტუზოვის მაღაზიაში;

კავკავს—ბუდან სომხიევის მაღაზიაში;

სურამს—მიხეილ შურგაიასთან, აფთიაქის გვერდით. (3—2)


Доз. цен. Тиф., 21 марта 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე